გაუქმებულია
06/25/96 N 288
კანონით

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დ ე კ რ ე ტ ი

1992 წლის 16 ოქტომბერი

საქართველოს რესპუბლიკაში მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ

ეს დეკრეტი განსაზღვრავს კონკურენციის განვითარების,მონოპოლიური საქმიანობის და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების,შეზღუდვისა და აღკვეთის ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს.

კ ა რ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დეკრეტის გამოყენების სფერო

1. დეკრეტი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და ვრცელდება რესპუბლიკურ და ადგილობრივ სასაქონლო ბაზრებზე მეურნე სუბიექტების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მონაწილეობით წარმოქმნილ ურთიერთობებზე. დეკრეტი გამოიღენება აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის მეურნე სუბიექტების , სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მოქმედებები , შეთანხმებები და გარიგებები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იწვევენ კონკურენციის შეზღუდვას რესპუბლიკურ და ადგილობრივ სასაქონლო ბაზრებზე.

2. დეკრეტი არ ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებსაც აწესრიგებს გამოგონებების, სასაქონლო ნიშნების, საავტორო უფლებების და სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვის ნორმები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარ ურთიერთობებთან დაკავშირებული უფლებები მათი მფლობელის მიერ განზრახ გამოიყენება კონკურენციის შეზღუდვის მიზნით.

3. საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს უფლება აქვს ამ დეკრეტის მოქმედება მთლიანად ან ნაწილობრივ არ გაავრცელოს საქმიანობის ცალკეულ სახეობებზე.

მუხლი 2. ძირითადი ცნებების განსაზღვრა

ამ დეკრეტში გამოყენებულია შემდეგი ძირითადი ცნებები:

"საქონელი"-გაცვლისთვის განკუთვნილი საქმიანობის პრდოქტი,სამუშაოებისა და მომსახურების ჩათვლით;

"რესპუბლიკური სასაქონლო ბაზარი" - საქონლი ბრუნვის სფერო საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში;

"ადგილობრივი სასაქონლო ბაზარი" - საქონლი ბრუნვის სფერო საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიუოლი ერთეულების ფარგლებში;

"მეურნე სუბიექტი - ნებისიმიერი იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც აწარმოებს, ყიდის ან ყიდულობს საქონელს;

"ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები " - საქართველოს რესპუბლიკის,მის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ადმინისტრაციულტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, საზოგადოებრივი გაერთიანებების (ორგანიზაციების) მმართველობის ორგანოები. მმართველობის ორგანოებს მიეკუთვნება, აგრეფვე,მეურნე სუბიექტი,ასოციაციები, კონცერნები, დარგთაშორისი, რეგიონალური და სხვა გაერთიანებები, რომლებიც სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით, აქვთ ერთიანი ორგანიზაციული სისტემა, მმართველობის ორგანო და მონაწილეთა მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემული აქვთ ბაზარზე მოქმედების უფლებები.

"კონკურენცია" - მეურნე სუბიექტების თავისუფალი მეტოქეობა, როდესაც მათი დამოუკიდებელი მოქმედებანი ეფექტიანად ზღუდავენ თითოეული მათგანის შესაძლებლობას ზეგავლენა მოახდინონ საქონელმიმოქცევის საერთო პირობებზე მოცემულ ბაზარზე და სტიმულს აძლევენ იმ საქონლის წარმოებას, რომელიც ესაჭიროება მომხმარებელს;

"მომხმარებელი" - საქონლის შემძენი იურიდიული და ფიზიკური პირი;

"ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა" - მეურნე სუბიექტის განსაკუთრებული მდგომარეობა ბაზარზე, როდესაც მას საშუალება ეძლევა დამოუკიდებლად ან სხვა მეურნე სუბიექტთან ერთად კონტროლი გაუწიოს საქონლის ან საქონლის ჯგუფის ბაზარს, უარყოფითი გავლენა მოახდინოს კონკურენციაზე, ხელი შეუშალოს სხვა მეურნე სუბიექტებს აღნიშნულ ბაზარზე შეღწევაში ან სხვაგვარად შეზღუდოს მათი ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება; მეურნე სუბიექტის მდგომარეობა რესპუბლიკის სასაქონლო ბაზარზე ჩაითვლება დომინირებულად, თუ მისი წილი ამა თუ იმ საქონლის ბაზარზე აცემატება 35 პრცენტს;

"მონოპოლიური საქმიანობა"-მეურნე სუბიექტების ხელისუფლებისა და მმარველობის ორგანოების ამ დეკრეტის საწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), მიმართული კონკურენციის დაუშვებლობის, შეზღუდვისა და აღკვეთისაკენ, რომელიც აზარალებს მომხმარებელს.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოები

1. საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებაში ერთიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გასატარებლად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან იქმნება სპეციალური ანტიმონოპოლიური ორგანო, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოები (შემდგომში ანტიმონოპოლიური ორგანოები).

2. ანტიმონოპოლიური ორგანოების ამოცანები, ფუნქციები, უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ დეკრეტითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანო მეთოდურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას უწევს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოებსა და სხვა აღმასრულებელ ორგანოებს.

კ ა რ ი II

კონკურენციის განვითარება და მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვა

მუხლი 4. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია

არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება და არ დაიშვება:

ყალბი, არაზუსტი ან დამახინჯებული ცნობების გავრცელება,რომლებიც აზარალებენ და შეუძლიათ დააზარალონ სხვა მეურნე სუბიექტი ან შელახონ მისი საქმიანი რეპუტაცია;

მომხმარებლისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება საქონლის ხასიათის, დამზადების ხერხისა და ადგილის, სამომხმარებლო თვისებებისა და ხარისხის თაობაზე;

საქონლის არაკორექტული შედარება მეურნე სუბიექტის სარეკლამო საქმიანობის პროცესში;

სხვისი სასაქონლო ნიშნის, საფირმო დასახელების ან საქონლის ნიშანდების თვითნებური გამოყენება, აგრეთვე სხვა მეურნე სუბიექტის საქონლის ფორმის, შეფუთვის, გარეგნული გაფორმების მიბაძვა;

სამეცნიერო - ტექნიკური, საწარმო ან საწარმო ინფორმაციის, მათ შორის კომერციული საიდუმლოების, მიღება, გამოყენება, გავრცელება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე.

მუხლი 5. მეურნე სუბიექტის მიერ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

1. იკრძალება ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე მეურნე სუბიექტის მოქმედება,თუ მან გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქეების ინტერესების შელახვა.

მეურნე სუბიექტის მიერ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ითვლება:

წარმოების შემცირება ან შეწყვეტა, აგრეთვე საქონლის ამოღება სამეურნეო ბრუნვიდან დეფიციტის შექმნის ან შენარჩუნების მიზნით, ანდა ფასების უსაფუძვლოდ გადიდება (შემცირება);

კონტრაგენტისათვის ხელშეკრულების ისეთი პირობების თავს მოხვევა, რომლებიც მისთვის არახელსაყრელია ან არ განეკუთვნება ხელშეკრულების საგანს (კონტრაგენტის ფინანსური სახსრების, მათ შორის უცხოურ ვალუტაში, მასალების, ნაკეთობების, საცხოვრებელი სახლების, ბინების, სამუშაო ძალის და სხვათა გადაცემის მოთხოვნა), მათ შორის მომხმარებლისათვის საქონლის იძულებითი მიყიდვის პირობების თავს მოხვევა;

ხელშეკრულებაში დისკრიმნაციული პირობების ჩართვა, რომლებიც კონტრაგენტს სხვა მეურნე სუბიექტთან შედარებით არათანაბარ პირობებში აყენებს; თანხმობის მიცემა ხელშეკრულების გაფორმებაზე მხოლოდ იმ პირობით, თუ მასში შეტანილი იქნება დებულებები ისეთ საქონელზე , რომლითაც კონტრაგენტი (მომხმარებელი) დაინტერესებული არ არის;

სხვა მეურნე სუბიექტისათვის ბაზარზე შეღწევის (ბაზრიდან გამოსვლის) ხელშემშლელი პირობების შექმნა;

ნორმატიული აქტებით დადგენილი ფასწარმოქმნის წესის დარღვევა,

მეურნე სუბიექტების შექმნა და რეორგანიზაცია კონკურენციის შეზღუდვის და ცალკეული მეურნე სუბიექტისათვის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის შექმნის მიზნით;

სხვა მოქმედებანი, რომლებიც იწვევენ კონკურენციის შეზღუდვას ანდა სხვა მეურნე სუბიექტის ან მომხმარებლების კანონიერი ინტერესების შელახვას.

2.გამონაკლის შემთხვევაში ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მოქმედებანი შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად, თუ მეურნე სუბიექტი დაამტკიცებს, მისმა მოქმედებამ ხელი შეუწყო ან შეიხლება ხელი შეუწყოს სასაქონლო ბაზრების გაჯერებას, საქონლის სამომხმარებლო თვისების გაუმჯობესებასა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, კერძოდ, საგარეო ბაზრებზე.

მუხლი 6. მეუნე სუბიექტების კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებები (შეთანხმებული მოქმედებები)

1. იკრძალება და დადგენილი წესით ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილად ჩაითვლება იმ კონკურენტი (პოტენციური კონკურენტი) მეურნე სუბიექტების ნებისმიერი ფორმით მიღწეული შეთანხმება (შეთანხმებული მოქმედება), რომლებსაც ერთობლიობაში უკავიათ დომინირებული მდგომარეობა, თუ ამგვარი შეთანხმებები (შეთანხმებული მოქმედებები) იწვევენ კონკურენციის შეზღუდვას, კერძოდ, შეთანხმებები (შეთანხმებული მოქმედებები), რომლებიც ითვალისწინებენ:

ფასების (ტარიფების), დათმობების, წანამატების, ფასნამეტების დადგენას; აუქციონებზე და საჯარო ვაჭრობებზე ფასების აწევას, დაწევას და შენარჩუნებას; ბაზრის განაწილებას ტერიტორიული პრინციპის, ყიდვა - გაყიდვის მოცულობის, სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტის ან გამყიდველებისა და მყიდველების (შემკვეთების) წრის მიხედვით;

სხვა მეურნე სუბიექტების ბაზარზე შეღწევის შეზღუდვას ან ბაზრიდან მათ გაძევებას;

განსაზღვრულ გამყიდველებთან ან მყიდველებთან (შემკვეთებთან)ხელშეკრულებების დადებაზე უარის თქმას;

სხვა პირობებს, რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას.

2. იკრძალება და დადგენილი წესით მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ჩაითვლება იმ არაკონკურენტი მეურნე სუბიექტების მიერ ნებისმიერი ფორმით მიღწეული შეთანხმებები (შეთანხმებული მოქმედებები), რომელთაგან ერთ - ერთს უკავია დომინირებული მდგომარეობა, ხოლო მეორე არის მისი მომწოდებელი ან მყიდველი (შემკვეთი), თუ ასეთი შეთანხმებები (შეთანხმებული მოქმედებები) სწვევენ კონკურენციის შეზღუდვას.

3. გამონაკლის შემთხვევაში ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული მეურნე სუბიექტების შეთანხმებები (შეთანხმებული მოქმედებები) შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად, თუ მეურნე სუბიექტები დაამტკიცებენ, რომ ამგვარმა მოქმედებამ ხელი შეუწყო ან შეუწყობს ბაზრის გაჯერებას, საქონლის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, კერძოდ, საგარეო ბაზარზე.

მუხლი 7. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ მეურნე სუბიექტების დისკრიმინაციის დაუშვებლობა

1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ ისეთი აქტების მიღება და ისეთ მოქმედებათა განხორციელება, რომლებიც ზღუდავენ მეურნე სუბიექტების დამოუკიდებლობას, ქმნიან დისკრიმინაციულ ან ხელსაყრელ პირობებს ცალკეული მეურნე სუბიექტებისათვის, თუ ასეთი აქტები და მოქმედებები იწვევენ კონკურენციის არსებით შეზღუდვას ანდა მეურნე სუბიექტების ან მოქალაქეების კანონიერი ინტერესების შელახვას.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს ცუფლება არა აქვთ: ხელი შეუშალონ რომელიმე სფეროში ახალი მეურნე სუბიექტების შექმნასა და საქმიანობას;

აუკრძალონ მეურნე სუბიექტებს ცალკეული სახის საქმიანობა და განსაზღვრული სახის საქონლის წარმოება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა; დაუდგინონ მეურნე სუბიექტებს მომხმარებელთა განსაზღვრული წრისათვის ხელშეკრულებების დადების საქონლის მიწოდების ან შეძენის პრიორიტეტები, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა;

განახორციელონ მოქმედებანი, რომლებიც აბრკოლებენ საკუთრების სხვადასხვა ფორმის მეურნე სუბიექტების კონკურენციას;

სახელმწიფო საწარმოების შეერთებითა და შერწყმით, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების გარდაქმნით შექმნან კავშირები , ასოციაციები , კონცერნები, კონსორციუმები, დარგთაშორისი და რეგიონალური გაერთიანებები, აგრეთვე სხვა სტრუქტურები, თუ ეს გამოიწვევს ბაზარზე მათ დომინირებულ მდგომარეობას და კონკურენციის შეზღუდვას;

აკრძალონ საქართველოს ერთი რეგიონიდან მეორეში საქონლის გაყიდვა (შესყიდვა, გაცვლა, შეძენა) ან სხვაგვარად შეზღუდონ მეურნე სუბიექტების უფლება გაყიდოს (შეიძინოს, გაცვალოს, შეისყიდოს) საქონელი;

დაუსაბუთებლად დაუწესონ ცალკეულ მეურნე სუბიექტებს საგადასახადო ან სხვა შეღავათი, რაც კონკურენტთან (პოტენციურ უონკურენტთან) შედარებით უპირატეს მდგომარეობაში ყოფნას გამოიწვევს;

დააწესონ მეურნე სუბიექტების დამოუკიდებლობის სხვა შეზღუდვები და აკრძალვები, რომლებიც კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

2. აკრძალულია სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შექმნა საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციის მიზნით, ან არსებული ორგანოებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელთა განხორციელება იწვევს კონკურენციის შეზღუდვას.

3. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგაეოებს შორის ან მათ და მეურნე სუბიექტებს შორის ნებისმიერი ფორმით მიღწეულ შეთანხმებაზე (შეთანხმებულ მოქმედებაზე) ვრცელდება ამ დეკრეტის მე - 6 მუხლით გათვალისწინებული მოვთხოვნები და პირობები.

მუხლი 8. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების თანამდებობის პირთა სამეწარმეო საქმიანობის დაუშვებლობა

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების თანამდებობის პირებს ეკრძალებათ:

ეწეოდნენ დამოუკიდებელ სამეწარმეო საქმიანობას;

დამოუკიდებლათ ან წარმომადგენლის მეშვეობით მისი კუთვნილი აქციებით, პაით (წილით) მონაწილეობა მიიღონ სამეურნეო საზოგადოების ან ამხანაგობის საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში;

დაიკავონ თანამდებობები მეურნე სუბიექტების მართვის ორგანოებში.

კ ა რ ი III

მონოპოლიური საქმიანობის თავიდან აცილება და აღმოფხვრა

მუხლი 9. მეურნე სუბიექტის შექმნის, შერწყმის, მიერთებისა და გარდაქმნის სახელმწიფო კონტროლი

1. ცალკეული მეურნე სუბიექტების მიერ დომინირებული მდგომარეობის დაკავების თავიდან ასაცილებლად ხორციელდება წინასწარი სახელმწიფო კონტროლი კავშირების, ასოციაციების კონცერნების, კონსორციუმების, დარგთაშორისი, რეგიონალური და საწარმოთა სხვა გაერთიანებების, მმართველობის ორგანოების და მეურნე სუბიექტების ამ გაერთიანებად გარდაქმნაზე, აგრეთვე სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებების შექმნაზე, შერწყმაზე, მიერთებასა და გარდაქმნაზე.

2. მეურნე სუბიექტების გაერთიანების, აგრეთვე სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებებისა და რეგისტრაციისას, გარდა " სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ " საქართველოს რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული პირობებისა,

აუცილებებლია ანტიმონოპოლიური ორგანოს თანხმობა. ამ თანხმობის გარეშე მათი რეგისტრაცია არ დაიშვება.

თანხმობის მიღებისათვის გაერთიანებების, სამეურნეო ამხანაგობების დამფუძნებლები და მათი შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიურ ორგანოს წარუდგენენ შუამდგომლობას და ცნობებს, რომლებიც შეიცავენ მონაცემებს თვითოეული შესაქმნელი ან გასაერთიანებელი მეურნე სუბიექტის საქმიანობის ძირითადი სახეობებისა და შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე მათი წილის შესახებ, აგრეთვე ცალკეული სუბიექტს თანხმობას გაერთიანებაში შესვლაზე.

3. მეურნე სუქიექტების გაერთიანების შექმნაზე უარის თქმა დაიშვება, თუ მას შეუძლია გამოიწვიოს ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტის ჩამოყალიბება და კონკურენციის შეზღუდვა.

გამონაკლისის სახით დასაშვებია ამგვარი მდგომარეობის მქონე მეურნე სუბიექტის ჩამოყალიბებაზე თანხმობის მიცემა, თუ ეს ხელს შეუწყობს სასაქონლო ბაზრის გაჯერებას, საქონლის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, კერძოდ, საგარეო ბაზარზე.

4. ეს მუხლი არ გამოიყენება იმ სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებების მიმართ, რომელთა საწესდებო კაპიტალი არ აღემატება 10 მლნ მანეთს. აღნიშნულ ზღვრულ ოდენობაზე ზევით საწესდებო კაპიტალის გასადადებლად აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოს თანხმობა ამდეკრეტით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 10. აქციების, პაის (წილის) შეძენისას ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დაცვის სახელმწიფო კონტროლი

იმ მეურნე სუბიექტის მიერ, რომელიც მოიცავს განსაზღვრული საქონლის ბაზრის 35 პროცენტზე მეტს, ამავე ბაზარზე მომუშავე სხვა მეურნე სუბიექტის აქციების, საწესდებო კაპიტალში პაის (წილის) შეძენა, აგრეთვე ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ დომინირებული მდგომარეობის მქონე მეურნე სუბიექტის აქციები, პაის (წილის) საკონტროლო პაკეტის შეძენა დასაშვებია მხოლოდ ანტიმონოპოლიური ორგანოს წინასწარი თანხმობით, განცხადებები თანხმობის მიცემის შესახებ განიხილება ამ დეკრეტის მე-9 მუხლში გათვალისწინებული წესით. ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის აქციების, პაის (წილის)საკონტროლო პაკეტად ითვლება მათი ის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს ხმების ნახევარზე მეტს აქციონირების, დამფუძნებლების, მეპიეების საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი 11. მეურნე სუბიექტების იძულებითი დაყოფა

1. იმ შემთხვევაში, როცა დომინირებული მდგომარეობის მქონე მეურნე სუბიექტები ახორციელებენ მონოპოლიურ საქმიანობას და მათი მოქმედება იწვევს კონკურენციის შეზღუდვას, აღმასრულებელი ხელისუფლების ანტიმონოპოლიურ ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს სარჩელით ასეთი მეურნე სუბიექტების იძულებითი დაყოფის შესახებ.

2. მეურნე სუბიექტების იძულებითი დაყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეიძლება:

თუ არსებობს საწარმოების, სტრუქტურული ქვედანაყოფების ან ერთეულების ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობა;

თუ არ არსებობს საწარმოების, სტრუქტურული ქვედანაყოფების ან ერთეულების მჭიდრო ტექნოლოგიური კავშირი, კერძოდ, თუ მეურნე სუბიექტების მთლიანი პროდუქციის საერთო მოცულობაში შიდა ბრუნვის წილი 30 პროცენტზე ნაკლებია; თუ ხდება საწარმოების,სტრუქტურული ქვედანაყოფების ან ერთეულების საქმიანობის სფეროების გამიჯვნა განსაზღვრული საქონლის წარმოებაზე ვიწრო საგნობრივი სპეციალიზაციის ფარგლებში.

3. მეურნე სუბიექტების იძულებითი დაყოფა ჩაითვლება მიზანშეწონილად, თუ ეს იწვევს:

საქონლის წარმოების ხარჯების გადიდებას;

წარმოების ტექნიკური დონის დაქვეითებას;

საქონლის წარმოების შემცირებას;

საქონლის ხარისხის გაუარესებას;

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას;

საგარეო ბაზარზე საქონლის კონკურენტურანიანობის დაცემას.

4. დომინირებული მდგომარეობის მქონე მეურნე სუბიექტის დაყოფის შეუძლებლობის ან მიზანშეუწონლობისას მის მიმართ გამოიყენება ანტიმონოპოლიური ზემოქმედების სხვა ზომები (ფიქსირებული ფასების დაწესება მაღალი საგადასახადო განაკვეთები და სხვა).

5. საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოს გადაწყვეტილება მეურნე სუბიექტის იძულებითი დაყოფის შესახებ უნდა შესრულდეს მის მიერ დადგენილ ვადაში. აღნიშნული ვადა არ შეიძლება იყოს ექვს თვეზე ნაკლები გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

იმ შემთხვევაში, თუ მეურნე სუბიექტის დომინირებული მდგომარეობა წარმოიშვა საქართველოს რესპუბლიკის ბაზარზე ანალოგის არმქონე საქონლის გამოშვებისას, გადაწყვეტილება მისი იძულებითი დაყოფის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს ამ მდგომარეობის წარმოშობის მომენტიდან სულ ცოტა ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 12. ამ დეკრეტის მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე მუხლების საფუძველზე ანტიმონოპოლიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება

ის შემთხვევაში როდესაც, დადგენილი წესით შუამდგომლობის ან განცხადების გაგზავნიდან 30 დღის ვადაში განმცხადებელმა არ მიიღო ანტიმონოპოლიური ორგანოს პასუხი ან მიიღო მოტივირებული უარყოფითი პასუხი, რომელსაც იგი დაუსაბუთებლად თვლის, მას უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს, რათა თანხმობა ჩაითვალოს გაცემულად (თუ პასუხი მიფებული არ არის) ან უარი ჩაითვალოს დაუსაბუთებლად.

ამავე წესით გასაჩივრდება ანტიმონოპოლიური ორგანოს გადაწყვეტილებები მეურნე სუბიექტის იძკლებითი დაყოფის შესახებ.

კ ა რ ი IV

საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიურ ორგანოს ამოცანები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი

მუხლი 13. საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოს ამოცანები

საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოს ძირითადი ამოცანებია:

მეწარმეობის მხარდაჭერა და სასაქონლო ბაზარზე კონკურენციის განვითარების პირობების შექმნა;

მონოპოლიზმის, ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და შეზღუდვის, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება;

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დაცვის სახელმწიფო კონტროლი.

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოს ფუნქციები

1. საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანო ასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წინადადებებს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის, კონკურენციის განვითარებისა და ბაზრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების, მათი გამოყენების პრაქტიკის სრულყოფის შესახებ, ატარებს შესაბამისი ნორმატიული აქტების ექსპერტიზას;

ატარებს ანალიზს ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე, კონკურენციის შემზღუდავი და მონოპოლისტური ხასიათის მქონე სუბიექტების გამოსავლენად. ამუშავებს და ახორციელებს წარმოებისა და მიმოქცევის დემონოპოლიზაციის ღონისძიებებს;

აკონტროლებს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დაცვას მეურნე სუბიექტების შექმნის, მიერთების, შერწყმისა და გარდაქმნისას, აგრეთვე აქციების, პაის (წილის) დიდი ოდენობით გაყიდვისა და შესყიდვისას;

აძლევს რეკომენდაციებს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს კონკურენციის განვითარებისა და მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის ღონისძიებათა განსახორციელებლად.

მუხლი 15. საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოს უფლებამოსილებანი

1. საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიურ ორგანოს უფლება აქვს განსახილველად სავალდებულო წინადადებები წარუდგინოს:

მეურნე სუბიექტს მათ მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარფვევის შეწყვეტის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის, მათი იძულებითი დაყოფის, იმ ხელშეკრულების მოშლის ან შეწყვეტის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება ამ დეკრეტს;

მმართველობის ორგანოებს მათ მიერ მიღებული არამართლზომიერი აქტების გაუქმების ან შეცვლის, დარღვევის შეწყვეტის, ამ დეკრეტის საწინააღმდეგო შეთანხმებების გაუქმების ან შეცვლის შესახებ.

2. ანტიმონოპოლიურ ორგანოს უფლება აქვს წარუდგინოს ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ორგანოებს განხილვისათვის სავალდებულო წინადადებები: მეურნე სუბიექტისათვის შეღავათიანი კრედიტების მიცემის აგრეთვე მათთვის გადასახადების შემცირებისაგან მათი განთავისუფლების შესახებ, რომლებიც პირველად შედიან ამა თუ იმ სასაქონლო ბაზარზე ან მოქმედებენ პრიორიტეტული განვითარების სფეროებში;

თავისუფალი, რეგულირებადი და ფიქსირებული ფასების გამოყენების სფეროების შეცვლის, მათ შორის დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებული მეურნე სუბიექტების პროდუქციაზე ფიქსირებული ფასების დაწესების, აგრეთვე მათი დაბეგვრის ოდენობის გადიდების შესახებ;

პარალელური მეურნე სუბიექტების შექმნის შესახებ, მათ შორის სახელმწიფო ინვესტიციების ხარჯზე;

ცალკეული მეურნე სუბიექტების დომინირებული მდგომარეობის დაძლევის მიზნით დეფიციტური საქონლის წარმოების დაფინანსების შესახებ;

უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ახალი საწარმოების შექმნის შესახებ;

საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების ლიცენზირების წესის შეცვლისა და საბაჟო ტარიფების სრულყოფის შესახებ;

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის მეურნე სუბიექტების საექსპორტოსაიმპორტო ოპერაციების ლიცენზირების აკრძალვის ან შეჩერების შესახებ; აკრძალული ან ლიცენზირებადი საქმიანობის ნუსხაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

3. საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანო უფლებამოსილია:

მიიღოს გადაწყვეტილებანი ამ დეკრეტის დარღვევის ან ანტიმონოპოლიური ორგანოს განაწესის შესრულებისათვის მეურნე სუბიექტების და მათი თანამდებიბის პირების, აგრეთვე მმართველობის ორგანოების თანამდებობის დაჯარიმების შესახებ; მიმართოს სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს განცხადებით ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე მონაწილეობა მიიღოს ასეთი საქმეების განხილვაში;

აღძრას შუამდგომლობა პროკურატურის ორგანოების წინაშე ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის საწინააღმდეგო იმ აქტების გაპროტესტების შესახებ, რომელთა მიმართ ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა, წარადგინოს პროკურატურის ორგანოებში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული მასალები მათი კანონით დადგენილი წესით განხილვისათვის;

მოუსმინოს სხდომებზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და მეურნე სუბიექტების თანამდებობის პირებს თავის კომპეტენციაში შემავლ საკითხებთან დაკავშირებით.

4. საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანო ვალდებულია განიხილოს განცხადებები და შუამდგომლობები, რომლებიც შედის მის კომპეტენციაში და წერილობით

აცნობოს პასუხი განმცხადებელს არაუგვიანეს 30 დღისა მათი მიღებიდან. უარი მოტივირებული უნდა იყოს.

5. საქართველოს რესპულიკის ანტიმონოპოლიურ ორგანოს ან მის მიერ უფლებსმოსილ პირებს უფლება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებისაგან, თანამდებობის პირებისა და მეურნე სუბიექტებისაგან შეუფერხებლად მიიღონ, ხოლო ეს უკანასკნკლნი ვალდებული არიან მიაწოდონ ამ ორგანოს მისი ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელი საფინანსო და სხვა დოკუმენტები, საცნობარო მასალები და ნებისმიერი ინფორმაცია, აგრეთვე წერილობითი (სიტყვიერი) ახსნაგანმარტებანი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის შესახებ.

6. საქარვაელოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირები არიან დაიცვან სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოება. კომერციული საიდუმლოების შემცველი მონაცემების გამჟღავნებისას მიყენებული ზარალი ანაზღაურდება ანტიმონოპოლიური ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კ ა რ ი V

პასუხისგებლობა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 16. ამ დეკრეტის დარღვევის შედეგები

ამ დეკრეტის დარღვევის შემთხვევაში მეურნე სუბიექტი,მმართველობის ორგანოები და მათი თანამდებობის პირები ვალდებული არიან:

შეწყვიტონ დარღვევა, აღადგინონ თავდაპირველი მდგომარეობა, მოშალონ ან შეცვალონ ამ დეკრეტის დარღვევით დადებული ხელშეკრულება, შეასრულონ განაწესით გათვალისწინებული სხვა მოქმედებანი;

აანაზღაურონ მიყენებული ზარალი;

გადაიხადონ ჯარიმა.

მუხლი 17. ამ დეკრეტის დარღვევის შედეგად მიღებული მოგების ამოღება და მეურნე სუბიექტებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაუოება

1.ამ დეკრეტის დარღვევით მიღებული მოგება ამოიღება კანონმდებლობით დადენილი წესით სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით რესპუბლიკური ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2. ამ დეკრეტის დარღვევით მიყენებული ზარალი უნაზღაურდება მეურნე სუბიექტნს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 18. ჯარიმა ამ დეკრეტის დარღვევისათვის

1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, აგრეთვე მეურნე სუბიექტი თანამდებობის პირების კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოსთან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით ეკისრება ჯარიმა:

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის შეწყვეტის, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის, იძულებითი დაყოფის, ამ დეკრეტის დარღვევით დადებული ხელშეკრულების მოშლისა თუ შეცვლის შესახებ სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებისაგან თავის არიდების ანდა არასრული შესრულებისათვის - წლიური გაანგარიშების გათვალისწინებით 4-5 თვის საშუალო ხელფასის ოდენობით.

ანტიმონოპოლიური ორგანოებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის ან შეგნებულად (ყალბი) მონაცემების წარდგენისათვის - წლიური გაანგარიშების გათვალისწინებით 2-3 თვის საშუალო ხელფასის ოდენობით.

2.საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოების თანამდებობის პირებს ამ დეკრეტის დარღვევისათვის ეკისრებათ ადმინისტრაციული ჯარიმის სახით-წლიური გაანგარიშების გათვალისწინებით, 1,5-2 თვის საშუალო ხნლფასის ოდენობით.

3. ჯარიმის სახით ამოღებული თანხები ჩაირიცხება რესპუბლიკასა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

კ ა რ ი VI

საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოს გადაწყვეტილებების მიღების, გასაჩივრებისა და შესრულების წესი

მუხლი 19. საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოს მიერ ამ დეკრეტის დარღვევის ფაქტებზე საქმეების განხილვის საფუძვლები

1. საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანო იხილავს საქმეებს ანტმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის შესახებ და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

საქმეები განიხილება მეურნე სუბიექტების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, საზოგადოების, მომხმარებელთა კავშირებისა და მოქალაქეთა განცხადებების, აგრეთვე პროკურატურიდან, სასამართლოდან და საარბიტრაჟო სასამართლოდან გადმოგზავნილი მასალების საფუძველზე.

2.საქართველოს რკსპუბლიკის ანტიმონოპოლიურ ორგანოებში განცხადებები შეაქვთ წერილობით იმ დოკუმენტებთან ერთად, რომლებიც ადასტურებენ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევვის ფაქტებს.

დოკუმენტებისა და განცხადებების შინაარსის გავრცელება არ დაიშვება.

3.საქმეთა განხილვა ხდება საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოს მიერ დამტკიცებული წესით.

მუხლი 20. საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი

1. მმართველობის ორგანოები, მეურნე სუბიექტები, თანამდებობის პირები უფლებამოსილი არიან რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოების გადაწყვეტილებანი დადაგენილი წესით გაასაჩივონ სასამართლოში ან საარბიტრაჟო სასამართლოში.

2. განცხადებების შეტანა არ აჩერებს განაწესის ან დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების შესრულებას სასამართლოში ან საასრბიტრაჟო სასამართლოში მისი განხილვის პერიოდში, თუ სასამართლომ ან საარბიტრაჟო სასამართლომ არ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული აქტების შესრულების შეჩერების თაობაზე.

3.საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოს განაწესი უნდა შესრულდეს განაწესით დადაგენილ ვადაში. განაწესის შუსრულებლობა ან არადროული შესრულება გამოიწვევს ამ დეკრეტით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით გათთვალისწინებულ შედეგება.

4.საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ორგანოს მიერ დაწესებულ ჯარიმას მეურნე სუბიექტი ან თანამდებობის პირი იხდის 30 დღის ვადაში დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან. დადგენილ ვადაში ჯარიმის გდახდისაგან თავის არიდების ან მისი არასრული ოდენობით გადახდის შემთხვევაში ანტიმონოპოლიურ ორგანოს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს.